

შეტყობინება მეათე
დაპირება, წინასწარმეტყველება, ნატამალი და აღდგენა

ადგილები წერილიდან: იერ. 25:11; 29:10-11, 14; 30:1-3, 10-11,
16-19; 31:1-9, 11-13; 33:6

- I. ღმერთმა ამოირჩია ისრაელის შვილები და გახადა ისინი თავის ხალხი,
როგორც ეკლესის წინასახე – რომ. 9:11-13; საქმე. 7:38:
 - a. ისრაელის შვილები, როგორც ღმერთის ამორჩეული ხალხი – არის უდიდესი კრებითი წინასახე ეკლესისა – 1 კორ. 10:1-11.
 - b. ამ წინასახეში ჩვენ ვხედავთ, რომ ეკლესია ამორჩეულია და გამოსყიდულია ღმერთის მიერ, რომ ის ტკბება ქრისტეთი და სულით როგორც სასიცოცხლო შეწევნით, აშენებს ღმერთის საცხოვრებელს, იმკვიდრებს ქრისტეს, როგორც თავის ხვედრს, განიცდის დეგრადაციას და ხვდება ტყვეობაში, აღდგება და ელოდება ქრისტეს მოსვლას.
- II. იეჰოვა დაპირდა, რომ დაასრულებდა ისრაელის ტყვეობას და დააბრუნებდა მათ თავიათ მიწაზე – იერ. 16:15; 30:1-3, 10-11, 16-19; 31:1-9, 11-13:
 - a. „ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს იეჰოვა, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“ – 29:11.
 - b. „სამუდამო სიყვარულით შეგიყვარე, ისრაელ, ამის გამო მიგიახლოვე წყალობით“ – 31:3.
 - c. „თავს გაპოვნინებთ, ამბობს უფალი, და დაგაბრუნებთ ტყვეობიდან, შეგპრებთ ყველა ერიდან და ყველა ადგილიდან, სადაც გაგფანტავთ, ამბობს უფალი; და დაგაბრუნებ იმ ადგილზე, საიდანაც გაგდევნეთ“ – 29:14.
 - d. „კვლავ აგაშენებ და აშენდები, ქალწულო ისრაელისა; ისევ მოირთვები შენი ბობლით და გამოხვალ მოზეიმე მოცემავეებში“ – 31:4.
 - e. „მოვლენ და ხმამაღლა შესძახებენ სიონის სიმაღლეებზე; უფლის სიკეთეზე იყიუინებენ... და იქნება მათი სამშვინველი მორწყელი ბაღივით და არასოდეს დანაღვლიანდებიან“ – მუხ. 12.
 - f. „სიხარულად ვუქცევ გლოვას და ვანუგეშებ, გავამხიარულებ, მწუხარებას დავავიწყებ“ – მუხ. 13.
- III. იერემია წინასწარმეტყველებდა იმაზე, რომ ისრაელის ტყვეობა ბაბილონში გაგრძელდებოდა სამოცდაათი წელი – 25:11:
 - a. ნაოქვამი სამოცდაათ წელზე იყო ნუგეში იერემიასათვის, და ეს აძლევდა მას დარწმუნებას იმასთან დაკავშირებით, რომ საცოდავი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა მისი ქვეყანა და მისი ხალხი, ტაძარი და ქალაქი, გაგრძელდებოდა მხოლოდ სამოცდაათი წლის განმავლობაში – 29:10; ზაქ. 7:5.

- ბ. როგორც გადასცა დმერთმა ხალხი ტყვეობაში, ასევე დააბრუნებს ის მათ, არა როგორც ტყვეებს, არამედ როგორც გამარჯვებულ მეომრებს – 2 ნეშ. 36:21-23.
- გ. ვინაიდან დანიელმა გაიგო წინასწარმეტყველება იურემიას 25:11-12-სა და 29:10-14-ში იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი სამოცდაათ წელს გაატარებდა ტყვეობაში, მან მიაბრუნა თავისი სახე „უფალი დმერთისაკენ, რათა ეძებნა ის ლოცვაში“ – დან. 9:2-3:
1. დანიელმა, როგორც დმერთის თანამშრომელმა დედამიწაზე, გაიგო დმერთის ნება წერილიდან და ლოცულობდა დმერთის ნებისათვის წერილების თანახმად.
 2. დანიელმა იცოდა, რომ დმერთის განზრახვა იყო დაებრუნებინა ისრაელის შვილები ისრაელის მიწაზე იერუსალიმის ხელმეორედ ასაშენებლად, ამიტომ ის ლოცულობდა ამისათვის; ისრაელის შვილების დაბრუნება იერუსალიმში იყო დმერთის მიერ დანიელის ლოცვის ასრულება.
- IV. იქმოვამ თქვა, რომ ის შეაგროვებს თავისი ფარის ნატამალს იმ მიწიდან, სადაც მან განდევნა ისინი, და რომ ის დააბრუნებს მათ უკან თავიანთ საძოვარზე და ისინი ინაყოფებენ და გამრავლდებიან – იერ. 23:3:
- ა. სამოცდაათწლიანი ტყვეობის შემდეგ დმერთი მოვიდა და მოუწოდა ისრაელის შვილებს, რომ დაბრუნებულიყვნენ ბაბილონიდან წმიდა მიწაზე – 25:11:
1. როდესაც დმერთმა მოუწოდა თავის ხალხს, რომ დაბრუნებულიყვნენ დმერთის მიერ ამორჩეულ მიწაზე, გამოეხმაურნენ მხოლოდ ძალიან ცოტანი; უმრავლესობა დარჩა ტყვეობაში.
 2. მხოლოდ მცირედი დაბრუნდა ამორჩეულ მიწაზე; ისინი, ვინც დაბრუნდნენ იერუსალიმში, რათა განმეორებით აეშენებინათ ტაძარი, წარმოადგენდნენ დმერთის ხალხის ნატამალს – ეზრ. 1:3; 2:1-67.
 3. დმერთი დაპირდა, რომ მისი ხალხი დაბრუნდებოდა იერუსალიმში ბაბილონში ტყვეობიდან სამოცდაათი წლის შემდეგ (იერ. 25:11; 29:10); ეზრასა და ნეემიას წიგნებში ამ დანაპირების თანახმად დაბრუნდა მხოლოდ ნატამალი.
- ბ. უფლის აღდგენაში დღეს ჩვენ ვართ დმერთის ხალხის ნატამალი, რომელიც დაბრუნდა დმერთის თავდაპირველ განზრახვასთან, იმ დროს როდესაც ძალიან ბევრი ნამდვილი მორწმუნე გაფანტულია და რჩება ტყვეობაში – ფსალ. 126:1-4:
1. ჩვენ ვართ ქრისტეს სხეულის ასოები, რომლებიც დაგბრუნდით ერთობის თავდაპირველ ნიადაგზე და ვდგავართ როგორც დმერთის ნატამალი – რჯლ. 12:5.
 2. ქრისტიანების უმრავლესობა რჩება ტყვეობაში; მხოლოდ მცირე ნატამალი დაბრუნდა სათანადო ნიადაგზე დმერთის ნაგებობისათვის – მუხ. 11; 16:2; ფსალ. 132:13-14.

- ბ. ისრაელის შვილების დაბრუნებამ ბაბილონიდან იერუსალიმში მოამზადა
გზა ქრისტეს მოსვლისათვის – მიქ. 5:2; მათე 2:4-6; ლუკა 2:4-7:
1. უფლის პირველი მოსვლა დამოკიდებული იყო ღმერთის ხალხის
დაბრუნებაზე მათი ტყვეობიდან ბაბილონში წმიდა მიწაზე:
 - ა) მიქ. 5:2-ში წინასწარმეტყველების თანახმად, ქრისტე უნდა
დაბადებულიყო ბეთლეემში.
 - ბ) ეს წინასწარმეტყველება რომ ასრულებულიყო, ღმერთის ხალხი
უნდა ყოფილიყო წმიდა მიწაზე – მათე 2:4-6; ლუკა 2:4-7.
 - გ) ნატამალი დაბრუნებული ტყვების, იყვნენ იარაღი, რომელიც
ღმერთმა გამოიყენა იმისათვის, რომ განმეორებით აეშენებინა
ტაძარი და მოემზადებინა ქრისტეს პირველი მოსვლა – მიქ. 5:2.
 - დ) ნატამალი რომ არ დაბრუნებულიყო წმიდა მიწაზე, მაშინ
ქრისტეს არ ექნებოდა შესაძლებლობა, რომ მოსულიყო
დედამიწაზე განკაცების მეშვეობით – ლუკა 1:35; 2:4-7.
 2. ზუსტად ასევე, ქრისტეს მეორე მოსვლა დამოკიდებულია მისი ახალი
აღთქმისეული მორწმუნების ნატამალის დაბრუნებაზე მათი
ბაბილონის, დეგრადირებული ქრისტიანობის, ტყვეობიდან, ერთობის
უნიკალურ ნიადაგზე ეკლესის, ღმერთის სულიერი სახლის,
ასაშენებლად – ეფეს. 2:21-22; გამოცხ. 2:1; 1 ტიმ. 3:15; 1 პეტ. 2:5:
 - ა) უფალი მოუწოდებს თავისი ხალხის ნატამალს, რომ
დააკმაყოფილოს მისი საჭიროება, გამოიდეს ბაბილონის
ტყვეობიდან და დაბრუნდეს ეკლესის სათანადო ნიადაგზე –
გამოცხ. 18:4; ესაია 52:11; იერ. 50:8; 51:6, 9, 45.
 - ბ) უფლის განზრახვა არის არა ის, რომ გააცოცხლოს ქრისტიანობა
მოლიანობაში, არამედ ის, რომ მოუწოდოს თავისი ხალხის
ნატამალს, რომლებიც მზად არიან რადაც გადაიხადონ, რათა
გაჰყვნენ მას მისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად და აშენდნენ
როგორც სხეულის ნაწილი – მათე 16:18; 18:17; ეფეს. 1:22-23; 2:21-
22; 4:16; გამოცხ. 1:11; 22:16.
- V. იეჲოვამ თქვა, რომ ის მოუტანს აღდგენას ისრაელის შვილებს – იერ. 30:17; 33:6:
- ა. იეჲოვა დაპირდა რომ ქალაქ იერუსალიმს მოუტანს აღდგენას და
განკურნებას – მუხ. 6.
 - ბ. მან თქვა, რომ გაუსხნის მათ მშვიდობისა და ჭეშმარიტების სიუხვეს და
რომ გაწმენდს მათ მათი ყველა უკანონობისაგან და აპატიებს მათ ყველა
უკანონობას, რომლებითაც ისინი სცოდავდნენ მის წინააღმდეგ და
რომლებითაც მათ ჩაიდინეს დანაშაული მის წინააღმდეგ – მუხ. 6-8.
 - გ. გაოდა ამისა იეჲოვა დაპირდა, რომ იერუსალიმი იქნება მისთვის
სასიხარულო სახელი, ქება და დიდება ყველა ერის წინაშე – მუხ. 9.
- VI. ისრაელის შვილების დაბრუნება მათი ტყვეობიდან არის წინასახე ეკლესის
აღდგენისა – ეზრ. 1:3-11; ნეემ. 2:11, 17:

- ა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეკლესიის აღდგენაზე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ რაღაც იყო თავიდან, რომ ის დაიკარგა ან დაზიანდა, და რომ ახლა საჭიროა მისი დაბრუნება თავდაპირველ მდგომარეობაში – მათე 16:18; 18:17.
- ბ. ვინაიდან თავისი ისტორიის მრავალი ასწლეულის განმავლობაში ეკლესიამ განიცადა დედგრადაცია, ის უნდა აღდგეს ღმერთის თავდაპირველი განზრახვის თანახმად – 1 კორ. 1:2; 12:27; რომ. 12:4-5; 16:1, 4-5; გამოცხ. 1:11; 22:16.
- გ. ისრაელის შვილებისათვის აღდგენა გულისხმობდა მათ დაბრუნებას იერუსალიმში ბაბილონიდან; ეკლესიის აღდგენა მოიცავს თავის თავში დაბრუნებას ტყვეობისა და დაყოფის ნიადაგიდან, რომელსაც აღნიშნავს ბაბილონი – ფსალ. 126:1-4; 133:1.
- დ. ისრაელის შვილები დაბრუნდნენ იერუსალიმში, ღმერთის მიერ დადგენილ უნიკალურ ნიადაგზე, ღმერთის ტაძრიდან წამოდებულ ყველა ჭურჭელთან ერთად, რომლებიც ადრე წაღებული იყო ბაბილონში – 2 ნეშ. 36:18; ეზრ. 5:14; 6:5:
1. იერუსალიმი იყო ცენტრი, რომელშიც ღმერთის ხალხი თაყვანს სცემდა ღმერთს, და ეს უნიკალური ცენტრი ინარჩუნებდა ღმერთის ხალხის ერთობას; ამიტომ აუცილებელი იყო, რომ ღმერთის ხალხი ძველ აღთქმაში დაბრუნებულიყო იერუსალიმში, ღმერთის მიერ დადგენილ უნიკალურ ნიადაგზე – რჯლ. 12:11; 16:2; 26:2.
 2. ეს ჭურჭლები, გაკეთებული ვერცხლისა და ოქროსაგან, აღნიშნავს ქრისტეს სიმდიდრეს და ქრისტეს განცდის სხვადასხვა ასპექტებს – ევეს. 3:8.
 3. დღევანდელმა ბაბილონმა არა მარტო დაატყვევა ღმერთის ხალხი, მან ასევე მოიტაცა მთელი სიმდიდრე ღმერთის ტაძრიდან; ახლა უფალს უნდა არა მარტო გამოიძახოს თავისი ერთგული ხალხი ბაბილონიდან და დააბრუნოს ისინი სათანადო ეკლესიურ ცხოვრებაში, არამედ ასევე აღადგინოს ქრისტეს ყველა სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც იყო დაპარგული – მეხ. 17:19; კოლ. 1:15-20; 2:16-17; 3:4.
- ე. ეკლესიის აღდგენის წინასახეა ასევე ღმერთის ტაძრის, ღმერთის სახლის იერუსალიმში ხელმეორედ აშენება, და ქალაქ იერუსალიმის ხელმეორედ აშენება – ეზრ. 1:3; ნეშ. 2:11, 17; ფსალ. 26:8; 36:8-9; 46:1, 5; 47:2, 6-8:
1. ტაძარს, ღმერთის თანდასწრების ადგილს, სჭირდებოდა დაცვა; ტაძრის დაცვა იყო ქალაქის კედელი.
 2. იმისათვის, რომ გავიგოთ კავშირი სახლსა და ქალაქს შორის ახალ აღთქმაში, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეკლესია არის ქრისტეს გაფართოება და ქრისტეს გადიდება – იოანე 3:29-30; ევეს. 4:13; კოლ. 2:19:
- ა) ქრისტეს გადიდების პირველი ნაბიჯი არის ეკლესია როგორც სახლი, შედგენილი ერთად შეკრებილი ყველა მორწმუნისაგან, რათა იყოს ქრისტეს გადიდება – ევეს. 2:21-22.

- ბ) ქრისტეს გადიდების მეორე ნაბიჯი არის ეპლესია როგორც ქალაქი; ეპლესია როგორც სახლი უნდა გაფრთოვდეს და გახდეს ეპლესია როგორც ქალაქი – მათე 5:14; გამოცხ. 3:7, 12; 21:9-10.
 - გ) ეპლესიის როგორც სახლისა და ქალაქის აშენება არის ცენტრი ღმერთის მარადიული ჩანაფიქრის – ეფე. 2:21-22; 1 ტიმ. 3:15; გამოცხ. 21:2-3.
3. თუ არ მოხდება ღმერთის სალხის აღდგენა მათი დიდი ბაბილონიდან ეპლესიურ ცხოვრებაში დაბრუნების გზით, ქრისტე ვერ შეძლებს თავისი მეორედ მოსვლის განხორციელებას – 1:7:
- ა) აი რატომ მუშაობს უფალი ამ ბოლო დროს, რათა მიიღოს ეპლესიის აღდგენა – მუხ. 11; 3:7-10; 22:16; 1 კორ. 12:27; 1:2.
 - ბ) ეს აღდგენა იქნება მომზადება და საფუძველი ქრისტეს დაბრუნებისათვის – გამოცხ. 1:7; 3:11; 19:7-9; 22:7, 12, 20.